26/09/2025

MES 5 25 0001322492

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 12.09.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:05
სხდომის დასრულების დრო: 16:12
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
8. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
11. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
12. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ანა ჯავახიშვილი -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტი:
ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა - ფაკულტეტის დეკანი;
პროფესორი თამარ დოლბაია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ჯახუა - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ასოცირებული პროფესორი ნინო ქიმერიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
პროფესორი გუგული მაღრაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში;
ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
თამარ შიოშვილი - განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნათია კალაძე - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
ლელი ბიბილაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტ(ებ)ი
თინათინ ქაროსანიძე - II საკითხი
ქრისტინე ჩიხლაძე - III, IV და V საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების

ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კონფლიქტოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ანა ჯავახიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც მეორე საკითხად საბჭოს უნდა განეხილა მეექვსე საკითხი (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კონფლიქტოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხი).

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კონფლიქტოლოგიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა.
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

1. **პირველი საკითხი:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა;

პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, არაკლასიციფირებული - 0319;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ქეთევან აფთარაშვილმა. აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სხდომას ვერ ესწრებოდა დარგის ექსპერტი, ლელა ვანიშვილი. საბჭომ დაწესებულების წარმოამდგენლებს ჰკითხა სურდათ თუ არა ექსპერტის გარეშე საკითხის განხილვა, დაწესებულებამ დათანხმდა საკითხის განხილვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ მათ ძირითადად გაზიარებული აქვთ ექსპერტების და საბჭოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და დამატებითი კითხვების შემთხვევაში მზად იყვნენ პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 14:11
დასრულებისდრო: 14:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

2. მეორე საკითხი:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის საკითხის განხილვა.

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კონფლიქტოლოგია;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კონფლიქტოლოგიის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინტერდისციპლინური-მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას - 0388;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 35;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ქეთევან აფთარაშვილმა.
აცილების საფუძველი შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თინათინ ქაროსანიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო 4 რეკომენდაცია. მათგან სამი სრულად არის გაზიარებული დაწესებულების მიერ. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი ინსტიტუციას ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია. თავად რეკომენდაცია უკავშირდებოდა სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სტუდენტების თანაფარდობას. ვიზიტის ფარგლებშიც აღინიშნა იყო, რომ სტუდენტთა რაოდენობა არ არის დიდი და არ წარმოადგენს პრობლემას. დოკუმენტებში მითითებულია, რომ ხელმძღვანელს შეუძლია სამი დოქტორანტის აყვანა, რაც ექსპერტის აზრით, მისაღებია. აქედან გამომდინარე ის მიიჩნევს, რომ ოთხივე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
გუგული მაღრაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად იცავს წესებს თანაფარდობასთან დაკავშირებით. მინისტრის ბრძანების შემდეგ სადოქტოროს სამი დაცვა ჰქონდათ. ინსტიტუცია მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაციაც მალე სრულად იქნება შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:19
დასრულების დრო: 14:22

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი სამი საკითხი ეხებოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, რომელთა შესწავლაც მოხდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა მომხდარიყო ერთად, რაზეც დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა.

3. მესამე საკითხი:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
4. მეოთხე საკითხი:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);
5. მეხუთე საკითხი:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინტერდისციპლინური-მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას - 0388;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 53;

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინტერდისციპლინური-მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას - 0388;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240

პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობები;
საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ინტერდისციპლინური-მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას - 0388;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ვაჟა კელიხაშვილმა.
საბჭოს მდივანი დღის წესრიგით გათვალისწინებულ - მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 საკითხებზე გახლდათ ციური დურული.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს პროგრამები. დარგობრივ ნაწილში გაიცა მხოლოდ რჩევები, რომლებიც გულისხმობენ პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას. სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე პრაქტიკის კომპონენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ დარგობრივმა ექსპერტმა გასცა რჩევა, რომ სტაჟირება გამხდარიყო სავალდებულო. ხოლო რეკომენდაციები სამივე პროგრამისთვის მხოლოდ მეოთხე სტანდარტში გაიცა. რეკომენდაციის თანახმად რამდენიმე აკადემიური პერსონალის CV საჭიროებდა განახლებას, რადგან შესაბამისი ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად. ასევე, ხაზი გაესვა იმასაც, რომ თავიდან სამაგისტრო-სადოქტორო საფეხურებისთვის მეორე რეკომენდაციაც იყო გაცემული, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას მეტად უნდა ეზრუნა პერსონალის განვითარებაზე პროფესიული კუთხით. რადგანაც ძველი CV-ები იყო ატვირთული არ ჩანდა მათი კვლევითი აქტივობა, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებული პასუხის ფარგლებში წარადგინა ინფორმაცია ტრენინგებისა და კონფერენციები შესახებ, რომელთა შეთავაზებაც ხორციელდება პერსონალისთვის. ამიტომ ექსპერტებმა აღნიშნული რეკომენდაცია ამოიღეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ სამივე პროგრამაში გაცემულია მხოლოდ ერთი რეკომენდაცია პირადი ინფორმაციების განახლებასთან დაკავშირებით. ამასთან მიმართებით ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტში ახალი პროგრამა ინერგება, რომელშიც მოხდება პერსონალის პირადი საქმეებისა და პროფესიული ინფორმაციების ატვირთვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ შიოშვილმა აღნიშნა, რომ მალე აღნიშნული საკითხი სრულყოფილი იქნება. ამასთან, პროგრამაში ჩართულია საკმაოდ ბევრი აფილირებული პროფესორი, რომელთა CV საკმაოდ მდიდარია პროფესიული აქტივობების თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:31
დასრულების დრო: 15:08
საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან შავაძემ კითხვით რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიმართა ექსპერტს. საბჭოს აინტერესებდა რეკომენდაციაში საუბარი რეზიუმეების ტექნიკურ განახლებაზე იყო თუ შინაარსობრივზე.
ქრისტინე ჩიხლაძემ განმარტა, რომ რეზიუმეები უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, მაგალითად, შესაბამისი ტიპის კვლევები თუ კონფერენციები ზოგიერთ პერსონალს 2013 წლის შემდეგ აღარ უდასტურდება cv-ების მიხედვით, ანუ მითითებულია ძველი აქტივობები, რომელთა განახლებაც აუცილებელია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აფილირებულ პროფესორებსა და ხელმძღვანელებს სთხოვს სამეცნიერო ანგარიშს. ამასთან, ხელმძღვანელი ისე არ დაინიშნება თუ მას არ აქვს ბოლო სამი წლის მანძილზე რეცენზირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არსებობს.
ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ეს ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნია, რადგან პროფესორებს უდასტურდებათ უახლესი აქტივობები, რაც რეზიუმეებში არ არის ასახული. ეს რეკომენდაცია არ გააპროტესტა უნივერსიტეტმა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეთანხმება აღნიშნულს.
ანა გვრიტიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაცია ტექნიკურ მხარეს მიაკუთვნა, რადგან პროგრამა განახლების პროცესში იყო ეს ავტომატურად მოგვარებულ საკითხად ჩაითვალა. შესაბამისად, პერსონალმა თავიდან უნდა შეიყვანოს თავისი მონაცემები და შემდეგ იქიდან მოხდება ჩამოტვირთვა. ამიტომ არ ყოფილა არგუმენტირებულ დოკუმენტში ეს საკითხი წარმოდგენილი.
თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დებულება თუ რა სტანდარტებს და კვალიფიკაციას უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.
ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ ეს არ ყოფილა აკრედიტაციის ვიზიტი, ამიტომ მათ არ ჰქონიათ უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობა. ექსპერტებს მიეწოდათ რეზიუმეები, რომელთა შესწავლის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაცია. ხაზი გაესვა იმასაც, რომ სამეცნიერო კვალიფიკაციის მიმართ უნივერსიტეტს მოთხოვნები აქვს, სამეცნიერო ხელმძღვანელის მიმართ სახელმწიფო სტანდარტითაც განისაზღვრება მოთხოვნები და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი ამას იზიარებს. თუმცა ამას ვერ ადასტურებს ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი, რადგან ფაქტობრივი მასალა არ არის წარმოდგენილი.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს იმ ადამიანების სივების გამოთხოვის შესაძლებლობა, რომელთაც არ უდასტურდებათ უახლესი აქტივობები.
ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა არ გამოუთხოვია ექსპერტთა გუნდს, რადგან რეკომენდაცია დაიწერა და თუ დაწესებულება ჩათვლიდა საჭიროდ არგუმენტირებულ პოზიციაში წარადგენდა შესაბამის დოკუმენტებს.

ციური დურულმა რაოდენობებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა დასკვნაში მითითებულ პროგრამის განმახორციელებელ პერსინალის რაოდენობის ასახვისას რას დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფი, რადგან თვითშეფასებაში დაწესებულებას სხვა რაოდენობა უწერია.
ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ბლოკების მიხედვითაც აქვს სასწავლო კურსები და იმ სასწავლო კურსების განმახორციელებლები არიან სხვა ადამიანები, რომლებიც თვითშეფასების დოკუმენტში არ მოიაზრებოდნენ საერთო რაოდენობაში. ექსპერტთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევითი საგანია, სტუდენტი თუ აირჩევს არჩევით საგანს, არჩევითი საგნის ხელმძღვანელიც ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და მისი რეზიუმეც წარმოდგენილი უნდა იყოს პაკეტში. ამიტომ არ ემთხვევა თვითშეფასების დოკუმენტის და და ექსპერტთა საბოლოო დასკვნაში ასახული პერსონალის რაოდენობა ერთმანეთს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 16:04
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისათვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, „ამერიკისმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ამერიკისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი ხარვეზის გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების"სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამაზე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

6. მეექვსე საკითხი:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის პროცესი);
პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტრატეგიული კომუნიკაციები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0321, ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფი. ვინაიდან საბჭო იცნობდა წარმოდგენილ დოკუმენტებს და დასკვნას, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და საბჭოს დანარჩენ წევრებს წინადადებით, რომ ექსპერტთა ჯგუფის გარეშე მომხდარიყო საკითხის განხილვა.
მხარეებმა დაადასტურეს აღიშნული წინადადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ცალსახად გამოკვეთილი რეკომენდაცია არ ყოფილა. კითხვების შემთხვევაში მზად იყვნენ პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:08
დასრულების დრო: 16:12

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ „სტრატეგიული კომუნიკაციების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე